საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №316/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 28 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 27 თებერვლის №316/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ დაარღვია თანასწორობის პრინციპი. კერძოდ, მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის ადვოკატის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, ხოლო როცა მოპასუხე მხარემ აღნიშნული მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა მოხსნა და იგივე შუამდგომლობით მოსარჩელე მხარემ მიმართა სასამართლოს, იმავე მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ქმედება ბადებს საფუძვლიან ეჭვს მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, რადგან თუ ერთხელ დააკმაყოფილა მოსამართლემ შუამდგომლობა, მეორე მხარის მიერ დაყენებული იდენტური შუამდგომლობაც უნდა დაეკმაყოფილებინა.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ორივე მხარე ითხოვდა მორიგებისთვის დროის მიცემას და პროცესის გადადებას, რადგან აპირებდნენ -- ჩასვლას და შეხვედრას, რასაც ადასტურებდა ორივე მხარის ადვოკატი, თუმცა მოსამართლემ მაინც ჩანიშნა და ჩაატარა სხდომა, რის შემდეგაც გამოაცხადა გადაწყვეტილება და ჩაშალა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 10 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის -- -- მიმართ თანხის დაკისრების თხოვნით. 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 2017 წლის 27 ნოემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა საჩივარი და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების გაუქმება.

2.2. 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით საჩივარი -- -- სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინების გაუქმების შესახებ დაუშვებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს. 2017 წლის 30 ნოემბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2.3. 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 5 აპრილს. 2018 წლის 3 აპრილს მოპასუხემ დაზუსტებული შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. სასამართლო სხდომები გაიმართა 05.04.2018; 17.05.2018; 10.06.2018; 31.08.2018; 20.09.2018; 10.10.2018; 15.10.2018; 19.10.2018; 23.10.2018 წწ პერიოდებში.

2018 წლის 17 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე წარდგენილი დაზუსტებული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 25 მაისს მოპასუხემ დაზუსტებულ სარჩელთან დაკავშირებით შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა განცხადება, სადაც უთითებდა, რომ ეთანხმება შესაგებელში ჩამოყალიბებულ პოზიციას და ასევე აღნიშნავდა, რომ გასულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელე მხარის მოთხოვნა.

2018 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი -- -- მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ -- აშშ დოლარის (ძირი თანხა და სარგებელი), ასევე პირგასამტეხლოს სახით -- აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე - არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 13 დეკემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2018 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა უარის თქმის ნაწილში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 27 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 28 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და

ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (*Micallef v. Malta* [GC], § 95) და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (*Kyprianou v. Cyprus* [GC], §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (*Castillo Algar v. Spain*, §45, *Micallef v. Malta* [GC], §98).

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

„მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედი და მართლმსაჯულების ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპია.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 02.03.2017 წლის გადაწყვეტილება). სასამართლო უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პიროვნული ტენდენციურობისაგან და მიკერძოებისაგან თავისუფალი.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2018 წლის 10 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარემ მოხსნა მის მიერ დაყენებული მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა, რომელიც დაკმაყოფილებული იყო სასამართლოს მიერ. აღნიშნული მოწმის დაკითხვის თაობაზე შემდგომ მოსარჩელე მხარემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებული განჩინებით უთხრა უარი მოსარჩელე მხარეს და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებით არ შემოფარგლულა. საჩივრის ავტორის მითითება, რომ თუ ერთხელ დააკმაყოფილა მოსამართლემ შუამდგომლობა, მეორე მხარის მიერ დაყენებული იდენტური შუამდგომლობაც უნდა დაეკმაყოფილებინა, რაც მისთვის ეჭვის საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, არ ქმნის მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განჩინება ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული აქვს მხარეს სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.

დადგენილია, რომ 2018 წლის 20 სექტემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე მორიგების მიზნით, რასაც დაეთანხმა მოპასუხის წარმომადგენელი და სხდომა გადაიდო 2018 წლის 10 ოქტომბერს. დადგენილია, რომ 2018 წლის 20 სექტემბრის შემდეგ ოთხი სასამართლო სხდომა ჩატარდა. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ერთი თვის განმავლობაში მორიგების თაობაზე შუამდგომლობის დაყენებიდან, მხარეები არ იყვნენ შეზღუდულები უზრუნველეყოთ მორიგების აქტის წარდგენა. საყურადღებოა, რომ 2018 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მიერ სასამართლოში წარდგენილია

განცხადება, სადაც უთითებს, რომ ეთანხმება შესაგებელში ჩამოყალიბებულ პოზიციას, რაც ცხადყოფს, რომ მოპასუხე მხარემ გამოხატა საკუთარი პოზიცია მორიგებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება, რომ ორივე მხარე ითხოვდა მორიგებისთვის დროის მიცემას, თუმცა მოსამართლემ მაინც ჩანიშნა და ჩაატარა სასამართლო სხდომა, რის შემდეგაც გამოაცხადა გადაწყვეტილება და ჩაშალა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა საქმის მასალებით არ დადასტურდა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №316/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი